თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

4 თებერვალი 2025 წელი

ქ. თერჯოლა

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. გიორგი ბარათაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. დავით გოგბერაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. გრიგოლ გიორგაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2.კობა კირკიტაძე, 3. ფრიდონ გვენეტაძე, 4. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282503534, 04.02.2025 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით და შეადგენს 29835.6 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით. გრანტი გაიზარდა 690.0 ათასი ლარით, სოფლის განვითარების პროექტები. სხვა შემოსავლები გაიზარდა 400.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 400.0 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდება 690.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი